ირაკლი მანველიძე •
გიგა ფარტენაძე •

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი და დამფუძნებელი კრება ••

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილია საქართველოს დამფუძნებელი კრების და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ურთიერთობები და გამომდინარე აქედან მოცემულია ამ ურთიერთობის ხასიათის და შინაარსის შეფასება, რომ ვაჩვენოთ რა განაპირობებდა საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისს შორის ურთიერთობის ხასიათს და რა ფაქტორები განსაზღვრავდა მათ შორის ურთიერთობის შინაარს. ამ მიზნის მისაღწევად ემპირიული ანალიზი ეფუძნება საარქივო-სახელმწიფო დოკუმენტების, იმდროინდელი პრესის მასალების და მემუარული მასალების შესწავლას. ჩვენი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლის შორის ურთიერთობების ხასიათს ბევრად განაპირობებდა 1917-1921 წწ. განვითარებული როგორც საერთაშორისო ისე შიდა-პოლიტიკური პროცესები, ხოლო ამ ურთიერთობის შინაარსზე არსებით გავლენას ახდენდა რეგიონის სტატუსის განსაზღვრის სა-

---

• ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

• ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

•• მოხსენება 2022 წლის 12 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ კონფერენციაზე „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“

კითხი. რეგიონის სტატუსზე მსჯელობა იყო ის არსებითი საკითხი რაც გავლენას ახდენდა ორ წარმომადგენლობით ორგანოს შორის ურთიერთობებზე. კვლევამ აჩვენა ასევ რომ 1917-1920 წლებში როცა რთული საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება თბილისი და ბათუმის ურთიერთობები ურთიერთ თანხვედრაში იყო, ხოლო 1920 წლის მეორე ნახევრიდან როცა საქართველოს იურისდიქცია აღდგა ბათუმის ოლქზე, აშკარად შეინიშნება აღნიშნულ ურთიერთობებში მკვეთრად განსხვავებული პოზიციების წამოწევა რაც დაკავშირებული იყო რეგიონის სტატუსის განსაზღვრასთან.

საკვანძო სიტყვები: დამფუძნებელი კრება, მეჯლისი, რეგიონი, ავტონომია.

ძირითადი ტექსტი

სამუსლიმანო საქართველოსა და დამფუძნებლ კრებას შორის ურთიერთობებში ჩვენ აქცენტს გავაკეთეთ სამ ასპექტზე. პირველი ეს არის მიმდინარე პოლიტიკური მომენტიდან გამომდინარე განპირობებული ურთიერთობის ხასიათი საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლის შორის, მეორე მსჯელობა რეგიონის სტატუსის შესახებ და გამომდინარ აქედან მესამე სამუსლიმანო საქართველოს ცნების ტერიტორიული მომცველობა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და სამუსლიმანო საქართველოს შორის ურთიერთობის შესწავლისას გასათვალისწინებელია ის წინაპირობები, რომლებმაც საფუძველი მოუმზადა ამ ორ ქართულ წარმომადგენლობით ორგანოებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ორივე წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩამოყალიბდა მანამდე ვიდრე ეს ორგანოები შეიქმნებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1917 წლის ბოლოს შექმნილი საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელის შემადგენლობაში აქტიურად მოღვაწეობდნენ შემდგომ ჩამოყალიბებული საქართველო დამფუძნებელი კრების და სამუსლიმანო საქართვე-

ლოს მეჯლისი წევრები. მაშინ მათ შორის განხილვის ერთ-ერთი აქტიური საკითხი რეგიონის სტატუსზე მსჯელობა იყო, რომლიც წინააღმდეგობრივი შეხედულებებით გამოირჩეოდა ორივე მხრიდან (სცსსა. ფ. 1823, ან. 3, ს. 1, ფ. 1; ფონდი 1836, ან. 1, ს. 4, ფ. 4; ფ. 1836, ან. 1, ს. 124, ფ. 8; 1836, ან. 1, ს. 7, ფ. 2; თოიძე, 1999:840; ვადაჭკორია, 2001:242; სილაგაძე; გურული, 1996:21-22).

აღსანიშნავია რომ ამ ორი წარმომადგენლობითი ორგანოს შორის ურთიერთობებზე და რეგიონის სტატუსზე მსჯელობაზე გავლენას ახდენდა როგორც რეგიონთან მიმართებით შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, ასევე სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური მდგომარეობაც. კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტეპზე და მის შემდგომ სამხრეთ-დასვლეთ საქართველოში ვითარბა კიდევ უფრო დაიძაბა. გერმანიის და მისი ბლოკის დამარცხებას ამიერკავკასიაში ძალთა გადაჯგუფება მოჰყვა. 1918 წლის ოქტომბერის მუდროსის ზავის საფუძველზე ოსმალეთის აღმოსავლეთი პროვინციები და გავლენის სფეროები ინგლისის ხელში გადადიოდა (ნოზაძე, 1989:36) 1918 წლის დეკემბრის ბოლოსათვის ინგლისმა დაასრულა ბათუმის ოკუპაცია (ზოსიძე, 1992:65). ინგლისელთა ოკუპაციის დროს ბათუმის ოლქში პოლიტიკური ვითარების სიმძიმეს ისიც განაპირობებდა რომ ბათუმში ჯერ ოსმალთა შემდეგ კი ინგლისის ოკუპაციის პირობებში საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობა იმდენად დასუსტდა რომ ისინ ბათუმის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას ვერ ახდენდნენ. ამას ემატებოდა ბათუმიდა ქრისტიანი ქართველი მოსახლეობის ემიგრაცია, სოციალ-ეკონიმიკური ცხოვრების კრიზისი, პოლიტიკურ პარტიათა დევნა შევიწროება და ასეთ ფონზე ასპარეზე გამოსული ადგილობრივი, რეგიონული პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილი დაიკავეს ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა ორ ურთიერთდაპირისპირებიულ ბანაკად ჩამოყალიბდა, ერთ მხარეს წარმოადგენდა სამუსლიმანო საქართველო

განმათავისუფლებელი კომიტეტი (მესხია, 1994:3), ხოლო მეორე მხარეს ისლამური საზოგადოება. პირობითად შეიძლება ვთქვათ რომ აქ ბრძოლა წარმოებდა პროქართულ და ანტიქართულ ძალებს შორის. ასეთ პირობებში რეგიონში საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მყარ დასაყრდენს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფ-ლებელი კომიტეტი წარმოადგენდა. ორივე პოლიტიკური გაერთი-ანება რეგიონის ავტომომიისათვის იბრძოდა, თუმცა განსხვავებუ-ლი მიზანდასახულობით. ასეთ პირობებში კი როცა საქართველოს მთავრობას არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა ხელში რომ გავლენა მოეხდინა ბათუმის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ბუნებრივია ის მხარს დაუჭერდა იმ პოლიტიკურ ძალას რომელიც ბათუმის ოლქის ავტონომიური საფუძველზე საქართველოს შემადგენლო-ბაში შესვლას ითხოვდა.

1920 წლის მეორე ნახევრამდე ბათუმის ოლქში არსებული მდგომარეობის გამო თბილისი ნებსით თუ უნებლიეთ სათანადო პოლიტიკური გავლენის არქონის პირობებში, ბათუმის პოლიტიკ-ურ ცხოვრებაზე ერთგვარი კონტროლის შენარჩუნების მიზნის გამო მხარს უჭერდა ,,სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონიმიის“ იდეას. რითაც არანაკლებ პროვოცირებას და პროპაგანდას უწევდა ავტონომიას. შესაბამისად განმათავისუფლებელი კომიტეტი ყო-ველთვის ხაზს უსვამდა საქართველოს მთავრობის პოზიციას. თუმცა საქართველოს ხელისუფლება ავტონომიის საკითხთან და-კავშირებით ყოველთვის დეკლარაციული განცხადებებით შემო-იფარგლებოდა.

წარმომადგენლობითი ორგანოების სტატუსით დამფუძნებელ კრებასა და მეჯლისს შორის პირველი ურთიერთობის დემონსტრი-რებაა 1919 წლის 31 ოქტომბერს სამუსლიმანო საქართველოს წარ-მომადგენელთა ყრილობის (მესხია, 2003:7) მიმართვა საქართველოს დამფუძნებელი კრებისადმი. მიმართვაში ხაზგასმულია სამუსლი-მანო საქართველოს ფართო ავტონომიური საწყისებით საქართვე-ლოს შემადგენლობაში არსებობა (გაზ. ერთობა, 1919 წლის 4 სექ-

ტემბერი, # 199; აბაშიძე, 1998:305). საპასუხო წერილი უპასუხა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემაც. „დამფუძნებელმა კრებამ ამა თვის 13-ის სხდომაზე ღრმა სიამოვნებით მოისმინა მეჯლისის პრეზიდიუმის მოლოცვა ბათუმისა და მისი ოლქის დედა საქართველოსთან დაბრუნების გამო. დამფუძნებელი კრება გულწრფელი სიხარულით მიესალმება სამუსლიმანო საქართველოს მის მეჯლისის სახით და ულოცავს მას, რომ აღსრულდა ქართველი ერის დიდი ხნის მისწრაფებანი და მისი ეროვნული სხეული, ისტორიული უკუღმართობით განკვეთილი, კვლავ გამთელდა. მას მტკიცედ სწამს, რომ ავტონომიურათ გაერთიანებული სამუსლიმანო საქართველო თავდადებით დაიცავს ამ მთლიანობას იმ ღრმა შეგნებით, რომ მხოლოდ ასეთ გაერთიანებულ საზღვრებში შეიძლება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება და მისის კულტურის აღორძინება“ (სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი...)

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი მეორე წერილი დამფუძნებელი კრებისადმი გაიგზავნა 1920 წლის 23 მარტს, სადაც მეჯლისი საქართველოს დამფუძნებელ კრებას სთხოვს არ დაუშვას ბათუმის ოლქში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნა მოკავშირეთა სარდლობის მიერ და ხაზია გასმული ბათუმის და მისი ოლქის ავტონომიური სტატუსით საქართველოსთან გაერთიანებაზე (გაზ. სამუსლიმანო საქართველო, 1920 წლის 23 მარტი, #321; აბაშიძე, 1998:306), როგორც მ. აბაშიძე აღნიშნავს ,,დამფუძნებელი კრება მუშაობს მეჯლისთან შეთანხმებით და აჭარის ავტონომიას აცხადებს“ (გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წელი, # 4 აგვისტო, #173; აბაშიძე, 1998:403). თუმცა ქართული პოლიტელიტისათვის არანაკლებ პრობლემურ საკითხად იქცა ე.წ წოდებული სამუსლიმანო საქართველოს საკითხი. ვინაიდან გასარკვევი იყო სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორიული არეალის, მისი პოლიტიკური მოწყობის ფორმა.

უნდა აღინიშნოს რომ იმ პერიოდში ,,სამუსლიმანო საქართველოს ავტონმიოიისდ საკითხის წინა პლანზე წამოწევის მიუხედა-

ვად იგი საკითხის დაყენების დონეს არ გასცდენია. რაც ასევე იმი-
თაც იყო განპირობებული, რომ მომავალი ავტონომიური ერთე-
ულის უფლებების შესახებ, რეგიონსა და ცენტრს შორის შეთან-
ხმებული პროგრამა არ არსებობდა (ვადაჭკორია, 2001:244). ზოგა-
დად თბილისი მოვლენების შენმდგომ განვითარებას ელოდა. ამაზე
მეტყველებს თუნდაც ის რომ რომ საქართველოს მთავრობა მეტი
სიფრთხილით ეკიდებოდა რაც ჩანს იმ ფაქტიდანაც ჩანს რომ თუ
1917 წლის ბოლოდან, განსაკუთრებით 1918 წლის მანძილზე ავტო-
ნომიურ უფლებებ სამუსლიმანო საქართველოს სრულ გეოგრაფი-
ულ არეალზე აცხადებდა, 1919 წლის მეორე ნახევრიდან, განსაკუთ-
რებით ლი 1920 წლის დასაწყისიდან ავტონიმიას და ცნება სამუს-
ლიმანო საქრთველოს ავტონომიას ბათუმის ოლქთან მიმართებით
განიხილავდა. სამხრეთ დასავლეთ საქართველისი საქართველოს
ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის კვალდაკვალ ქვეყნის
ხელისუფლება სამუსლიმანო სდაქართველოს ავტონომიის ქვეს
თანდათან ავიწროებდა იმ ტერიტორიის სივრცეს რომელზეც გან-
საკუთრებული სტატუსი უნდა გავრცელებულიყო. 1920 წლის მე-
ორე ნახევრისათვის ასეთი ტერიტორია კი მარტო ბათუმის ოლქი
დარჩა. ეს არც უნდა ყოფილიყო შემთხვევითი ვინაიდან ბათუმის
ოლქი იყო ბოლო რეგიონი რომელზეც აღსდგა საქართველოს
იურისდიქცია და ცხადია ავტრონომია ბოლომდე ინარჩუნებდა
მასთან მიმართებით სიცოცხლისუნარიანობას. თუმცა 1920 წლის
ივლისში მასზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენას ოლქში
საგანგებო მმართველობის შემოღება მოჰყვა (მესხია, 2004:158).
ითვალისწინებდა რა ოლქში არსებულ მდგომარეობას მთავრობის
დადგენილებაში აღნიშნულია: ,,ოლქში შესაძლებელია მხოლოდ
საგანგებო მართვა-გამგეობა შეფარდებული სამხედრო წესებით:
(გაზ. ერთობა, 1920, 7, აგვისტო. 177: ვადაჭკორია, 2001:247). ხოლო
მშვიდობიანი ცხოვრების შემდეგ, სამოქალაქო მმართველობის
მოსაწესრიგებლად დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი იქნება
ახლო მომავალში კანონპროექტი, დემოკრატიული საარჩევნო უფ-

ლების ნიადაგზე აგებული ავტონომიის ცხოვრტებაში გატარებისათვის (იქვე). ამგვარმა გადაწყვეტილებამ ადგილობრივი პოლიტელიტა გააღიზიანა. მით უფრო რეგიონში მოხდა მეჯლისის დათხოვნა და ადგილობრივი პოლიტელიტის პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყვა. რეგიონში მდგომარეონა საკმაოდ გართულდა (მესხია, 2004:160-161). ამ კუთხით საინტერესოა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის მიერ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიუროს სახელზე გაგზავნილი (1920 წლის 25 ოქტომბერი) მოხსენება. აღნიშნულ დოკუმენტებში ერთხმადაა მითითებული იმ მძიმე პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, რომელიც ბათუმის ოლქში იყო შექმნილი, რაც გამოწვეული იყო ქართული ორიენტაციის მქონე ჯგუფების პოლიტიკური არენიდან გარიყვით. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 30 ივლისის სხდომაზე აკაკი ჩხენკელი ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენ მეჯლისს ძალით ნუ დავითხოვთ... რა სახით დარჩეს, ეს ტაქტიკის საქმეა. მეჯლისმა ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწია. მემედ ბეგი და ბევრი სხვებიც გულწრფელი ხალხია, მხოლოდ საჭიროა მათი გაგება, მათთან უფრო დაახლოება.“ ამრიგად, საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებს შორის „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის შენარჩუნების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ურთიერთ-განსხვავებული თვალსაზრისის არსებობდა (ვადაჭკორია, 2001:246-247). სავარაუდოა რომ რეგიონის სტატუსზე რადიკალურად განსხვავებული შეხედულების გამო მოხდა რეგიონის პოლიტელიტის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორება.

საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის თაობაზე კარგად ხსნიდა დამფუძნებელი წევრის გ. ანჟაფარიძის პოზიცია რომელიც თვლიდა რომ

,,საქართველოს მთავრობის დეკლარაცია ავტონომიის შერსახებ გამოწვეული იყო უკიდურესი მდგომარეობით, მისი აზრით ეს ავტონომია იყო კომპრომისი შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში. იგი მიიჩნევდა მხოლოდ კულტურულ ავტონომიას (სცსსა. ფ. 1833, ან. , ს. 4, ფ. 19-250). დამფუძნებელი კრების წევრი პ. გელეიშვილი გაეცნო რა ოლქში არსებულ სიტუაციას (1920 წლის სექტემბრის ბოლოს) კარგად შენიშნავდა რომ ,,სიტყვა ავტონომია აქ მხოლოდ ე. წ. ინტელიგენციის გამოგონიალია და ხალხში გასროლილი ლოზუნგია. ავტონომია აქ გამოუგონია რამდენიმე ინტელიგენტს". მაგრამ ავტონომიის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იგი ხედავდა იმ პირების ხელისუფლებაში დასაქამებას რომლებიც ავტონომიას განსაკუთრებით აყენებდნენ დღის წესრიგში. ,,ამ ადგილობრივი ინტელიგენტური ძალების ასამსახუირში მიღება და მართვა-გამგეობის საქამეში გამოყენება აქ ერთიანად გადაწყვეტდა ავტონომიის საკითხს", (გელეიშვილი, 1998:30-33). აღსანიშნავია რომ რეგიონში მდგომარეობა იმდენად გართულდა რომ საკითხის შესასწავლად დამფუძნებელმა კრებამ წევრები პეტრე გელეიშვილი და აკაკი ჩხენკელი მოავლინა (მესხია, 2004:160-161).

საკონსტიტუციო კომიისის 1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე აფხაზეთის და ,,სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიების სტატუსთან მიმართებით პ. საყვარელიძე ოპონენტების მისამართით აცხადებდა: ,,თქვენ გინდათ სახელმწიფოები შექმნათ სახელმწიფოში და ამით ... თქვენივე ხელით სპობთ იმას, რისი გაკეთება და აშენება მიზნად დაისახეტ (სცსსა. ფ.1833, ან. 1, ს. 181, ფ. 127; ვადაჭკორია, 2003:523). 1920 წლის 8 მაისის სხდომაზე აკაკი ჩხენკელი ამბობდა: ,,ავტონომიაჩვენ ფაქტად უნდა ვაქციოთ, შინაარსი ვიმეორებ სხვა საკითხია, იგი შეიძლება არ გასცდეს ჩვენი ერობების უფლებებს...კონსტიტუციაში უნდა ვიხმაროთ სიტყვა ავტონომია და მოვიხსენიოთ ყველა კუთხე (სცსსა. ფ. 1833, ან. 1, ფ. 138; ვადაჭკორია, 2003:523). 1920 წლის 7 ივლისის საკონსტიტიუციო კომისი სხდომაზე პ. საყვარელოძემ განაცხადა: ,,ფართო ავტონომიას ჩვენ

ვერავის მივცემთ. უსათუოდ უნდა იქნეს დაცული უნიტარული ხასიათი ჩვენი სახელმწიფოსი, ავტონომიის ფრარგლები არ უნდა გასცდეს ჩვენი ერობის უფლებებს (იქვე). 1920 წლის 1 დეკემბრის დამფუძნებელი კრების სხდომაზე კონსტიტიუციის პროექტის განხილვისას ნ. ჟორდანოიამ ხაზგასმით აღნიშნა: ,,ერთ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ექნეს მრავალ სახელმწიფოს (გაზ. ერთობა, 1920, 4 დეკემბერი #277).

ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 120-ე მუხლით „სამუსლიმანო საქართველოს“ მართვა-გამგეობა ავტონომიურ პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა, ხოლო 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციის 107-ე მუხლის მიხედვით, „სამუსლიმანო საქართველოს“ (ბათუმის მხარეს) ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა ეძლეოდა, რომლის დებულება ცალკე კანონის სახით უნდა შემუშავებულიყო. მომავალი ავტონომიური ერთეულის სახელწოდების ისეთი ფორმის შერჩევაზე ზრუნვა, რომ იგი ერთიანი ქართული სახელმწიფოსაგან განმანსხვავებელი ნიშნით არ ყოფილიყო წარმოდგენილი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- აბაშიძე მ. თხზულებანი, თბილისი 1998
- გაზეთი სამუსლიმანო საქართველო, 1920 წლის 23 მარტი, #321;
- გაზეთი ერთობა, 1919 წლის 4 სექტემბერი, # 199;
- გაზეთი ერთობა, 1920, 7 აგვისტო, # 177
- გაზეთი ერთობა, 1920, 4 დეკემბერი #277
- ვადაჭკორია ვ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბილისი 2001
- ზოსიძე ნ. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1018-1920 წლებში, ბათუმი, 1995

- თოიძე ლ. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბილის. 1999
- მანველიძე ი. ირემაძე გ., გაზეთი "სამუსლიმანო საქართ-ველო" და აჭარის ავტონომიის საკითხი, თბილისი, 2018, ჟურნალი პოლიტიკა 2018 N 4 (10), გვ 1-9. ხელმისაწვდომია http://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/109/pdf
- მესხია ე. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფ-ლებელი კომიტეტის ისტორიიდან, ბათუმი, 1994
- მესხია ე. ახალი მასალები მემედ აბაშიძის შესახებ, ბათუმი, 2003
- მესხია ე. ბრძოლა საქართველოს მთლიანობისათვის, ბათუმი, 2004
- ნოზაძე ვ. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი. 1989
- სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი დამფუძნებელ კრებას მიესალმება. https://civil.ge/ka/archives/359656
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი. ფ. 1823, ან. 3, ს. 1, ფ. 1; ფონდი 1836, ან. 1, ს. 4, ფ. 4; ს. 124, ფ. 8; ს. 7, ფ. 2; ფ. 1833, ან. , ს. 4, ფ. 19-250; ს. 181, ფ. 127;
- სილაგაძე ა., გურული ვ., პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.), პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი, თბ., 1998.

Irakli Manvelidze

Giga Phartenadze

Muslim Georgia Majlis and Constituent Assembly

Abstract

The goal of our research is to study the relationship between Georgian Constituent Assembly and Georgian muslim majlis and according to this the assessment of the characteristics and features of this relationship. We want to show what was the reasons and factors of this relationship. To achieve this goal and study the issue,we have used an inductive approach and empirical analysis has been based on the studies of archival state documents, the materials of the press of that time and memoirs.The results of our research showed that the Characteristics of the relationship between Georgian Constituent Assembly and Georgian Muslim Majlis was influenced by international and internal political processes and the determination of regional status in 1917-1921. The discussion on regional status was the essential issue which affected greatly on the relationship between two representative bodies. The research has revealed that in 1917-1920 when there was very difficult political situation and the relationships between Batumi and Tbilisi was in coincidence and since the second half of 1920 when Georgian legislation was retored in Batumi district, there were already different positions in the mentioned relationships which was connected to the determination of the regional status.